

19. 09. 2022

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას იმერეთის მხარეში

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო/ბატონო

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთის მხარეში ზვიად შალამბერიძემ განაცხადა, რომ 2022-2023 სასწავლო წელს იმერეთი შეხვდა შვიდი სრულიად ახალი სკოლით, ასევე რეაბილიტირებულია ორმოცდაორი სკოლა და მიმდინარეობს ათი სკოლის სრული რეაბილიტაცია.

აქედან გამომდინარე:

- რომელი სკოლების მშენებლობა დასრულდა წელს და რომელ მათგანში დაიწყო სწავლა - მიუთითეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე მინიჭებული განცხადების ნომერი;
- რეაბილიტირებული სკოლები - ასევე მიუთითეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე მინიჭებული განცხადების ნომერი;
- სკოლები, რომელთა რეაბილიტაციაც მიმდინარეობს - მიუთითეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე მინიჭებული განცხადების ნომერი;
- სკოლები, რომელთა მშენებლობა/რეაბილიტაცია 2022-2023 სასწავლო წლისთვის უნდა დასრულებულიყო და ვერ დასრულდა - მიუთითეთ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გვერდზე მინიჭებული განცხადების ნომერი;

გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ სრულყოფილად, ელექტრონული ფორმით, ქვემოთ მითითებულ მეილზე.

გმადლობთ წინასწარ.

პატივისცემით,

ნაზიბროლა რეხვიაშვილი

პ/ნ 62011003485

მისამართი: ბათუმი, წერეთლის ქ. 6, ბ. 43, ტელ. 557 20 00 01,